

ოქმი №15

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N 65

4 სექტემბერი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა მაგნიძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- სალომე ფახურიძე.

**მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი-ზვიად კაპანაძე.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი-ნარგიზი ალფაიძე.

სხდომა 14<sup>00</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2019 წლის 4 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი.



## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს:/ზვიად კაპანაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: /ნარგიზი ალფაიძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2019 წლის 4 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი

1. დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ აღნიშნა, რომ „მოგეხსენებათ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი აშენდა, მიწის ნაკვეთი დაურეგისტრირებელი იყო, შესაბამისი პროცედურები ეტაპობრივად წარიმართა, ამ ეტაპზე მინიციპალიტეტის მერისთვის საკრებულოს თანხმობაა საჭირო, რათა ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი



და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2019 წლის 5 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2. დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ცვლილება, რომელიც შეეხება ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტს, კერძოდ, ამოღებულ იქნას N3-ე საბავშვო ბაღი, დაემატოს მიქელეფონის და ძულუხის საბავშვო ბაღები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1. „სამსახურის სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაცია, ვანის N1, N2, ამაღლების, ბზვანის, ზედა გორას, შუა გორას, დიხაშხოს, ქვედა გორას, ზედა ვანის, ზეინდრის, მთისძირის, მუქედის, სალხინოს, სალომინაოს, სულორის, ტობანიერის, ფერეთას, შუამთის, ციხესულორის, უხუთის, საპრასიის, ინაშაურის, ყუმურის, მიქელეფონის და ძულუხის საბავშვო ბაღები“ და შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა აღნიშნული ცვლილების თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წესდებაში ცვლილებს შეტანა განპირობებულია იმით, რომ სურსათის უვნებლობის სტანდარტების დარღვევის გამო გაუქმდა N3 ბაღი, ს/ბაღის აღსაზრდელები



და თანამშრომლები გადმოყვანილ იქნა N1 ბაღში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაემატა 2 ბაღი: მიქელეფონის და ძულუხის საბავშვო ბაღები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.


ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2019 წლის 5 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

(დანართი თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ მომავალ სხდომებზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს შესაბამისი სფეროს კომისიის თავმჯდომარეები წარმოადგენდნენ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.



გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე